



საქართველოში ჯანმრთელობის ხელშეწყობა: ეკო ინფრასტრუქტურის
განვითარების ჭრილში

ლევანი კვიციანი

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების (სკოლაში) ფაკულტეტზე მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი (ჯანდაცვის მენეჯმენტი)

პროექტის ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა,

მედიცინის აკადემიური დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

“როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად”

ლევანი კვიციანი

20.06.2019

აბსტრაქტი

საქართველო ახალი ათასწლეულის დასაწყისში დიდი გამოწვევების წინაშე დგას, დიდ ქალაქებში მაღალია სხვადასხვა დაავადების გამომწვევი რისკფაქტორი, რაც ხშირად დაკავშირებულია გარემოს დაბინძურებასა და მწვანე ეკო-საფარის სიმცირესთან. ჩვენი ქვეყანა გამოირჩევა მრავალფეროვანი ბუნებრივი ლანდშაფტით, რაც გვძლევს შესაძლებლობას სახელმწიფოს ახალი სოციალურ-ეკონომიკური ფორმით განვითარებისას. მისი მიღწევის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად შეიძლება განვიხილოთ ეკო-ინფრასტრუქტურისა და შესაბამისი ხელშემწყობი სისტემების შექმნა, რაც საზოგადოებას ხანგრძლივი, ჯანმრთელი, ცხოვრების წლების შენარჩუნებაში დაეხმარება. ეკო-გარემოში ცხოვრება, წლებია, უკვე მსოფლიოს და ახლა უკვე საქართველოს მოსახლეობის მთავარ პრობლემად იქცა, მწვანე საფარი კი თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში უფრო და უფრო მცირდება, რაც კიდევ მეტად საზიანოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, გამოვიკვლიოთ, გარემოს დამაბინძურებელი ფაქტორებისა და ჯანმრთელობის ხელშემწყობისთვის თანამედროვე, გადაჭრის გზების მექანიზმები. იგულისხმება ის ახალი ტექნოლოგიური ინოვაციების მიდგომები, რომლითაც შეიძლება რევოლუციურად განვითარდეს და მეტად მოქნილი გახდეს ადამიანის საცხოვრებელი გარემოს ეკოელემენტებით გაჯანსაღების ფაქტორები, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს ქვეყნის პოტენციალის, პროდუქტიულობისა და კეთილდღეობის ზრდას.

საკვანძო სიტყვები: დაავადებათა-პრევენცია, ინჟინერია-ტექნოლოგიები; ეკო ინფრასტრუქტურა, ინოვაცია-ნოვაცია.

Abstract

At the beginning of new millennium, Georgia has faced a variety of environmental challenges. The reduction of green space and poor air quality became the major underline risk factor in the rise of many types of diseases in big cities. One of the distinct characteristics of Georgia is its unique natural resources and landscapes. That creates a possibility to design strategies for more sustainable social-economical development of our country. We believe the development of eco infrastructure and its appropriate support system can increase the longevity and overall life quality among the residents of Georgia. Living in the ecologically clean environment became a major challenge among many populations across the globe. The global economic development has gaps in supporting eco-friendly life standards. Therefore, it becomes critical to study environmental pollution and seek cutting-edge strategies to build a more sustainable and eco-friendly environment for the health of people and the entire planet. New, technologically advanced eco-projects have the potential to create new social and environmental climate in Georgia, thus improving health, productivity, and well-being of the entire nation.

Key words: Disease-prevention; Engineering-technology; Eco infrastructure; Innovation-Novation

მადლობა

მსურს მადლობა გადავუხადო ჩემ სასწავლო-კვლევით პროექტში ჩართულ ადამიანებს, მუდმივი მხარდაჭერისთვის, მნიშვნელოვანი საკითხების, ელ.პროექტის შექმნის, კვლევის ჩატარებისა და სხვადასხვა სამუშაოს წარმოებისას გაწეული დახმარებისთვის. აღსანიშნავია და დასაფასებელია მათი წვლილი, ამ ყველაფერში.

მადლობა: ქ-ნ ლოლიტა შენგელიას, ქ-ნ სოფიო ლებანიძეს, ქ-ნ რუსუდან კვარაცხელიას, ქ-ნ თამარ ლეჟავას, ქ-ნ თამარ ხუციშვილს, ბ-ნ თენგიზ ვერულავას, ბ-ნ თემურ მაისურაძეს, ბ-ნ დავით გეგეჭკორს, ბ-ნ ავთანდილ მღებრიშვილს, ბ-ნ ლაშა შინჯიკაშვილს, ბ-ნ საბა მეძმარიაშვილს, ბ-ნ ბესარიონ ჩხაიძეს, ბ-ნ დავით კაკაბაძეს, ბ-ნ ნიკო ჯიმშელიშვილს, ბ-ნ პაატა ქორიძეს, ბ-ნ დიმიტრი ჯაფარიძეს, ბ-ნ გიორგი ქემერტელიძეს.